# სასამართლო პრაქტიკის კვლევის, დოქტრინალური ანალიზისა

# და განზოგადების კლინიკა სანივთო სამართალში

**კრედიტებისრაოდენობა:**10 (250საათი)

30 საკონტაქტო

220 დამოუკიდებელი

**საგანმანათლებლო პროგრამის საფეხური:** მაგისტრატურა

**კურსის სტატუსი:** არჩევითი

**კლინიკის სამეცნიერო ხელმძღვანელობა:**

ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი, თამარ ზარანდია

ელ.ფოსტა:tamar.zarandia@tsu.ge

ტელ.: +995 599502311

**კურსის აკადემიური აღწერილობა**

- კურსი მოიცავს კვლევითი და პრაქტიკული შინაარსის კომპონენტებს. კვლევითი კომპონენტის ფარგლებში ძირითადად ხორციელდება სტუდენტის მიერ დამოუკიდებელი კვლევა და ანალიზი კლინიკის ხელმძღვანელის სამეცნიერო ზედამხედველობით, ხოლო პრაქტიკული სეგმენტის ფარგლებში სტუდენტი ახდენს კვლევის შედეგების პრეზენტაციას.
- კურსის ფარგლებში საწყის ეტაპზე ხორციელდება კლინიკის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ იმ სასამართლო გადაწყვეტილებების განსაზღვრა, რომელზეც სტუდენტების მიერ წარიმართება თემატურად დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი და მეცნიერული კვლევა.
- შერჩეულ გადაწყვეტილებებთან კავშირში მაგისტრანტის მიერ ხორციელდება სამართლის განვითარებისა და პრაქტიკის განზოგადებისათვის მნიშვნელოვანი მსგავსი თუ განსხვავებული გადაწყვეტილებების მოძიება და მათში განვითარებული ერთგვაროვანი/განსხვავებული მიდგომების ანალიზი.

- მაგისტრანტი ახდენს გადაწყვეტილებაში გასაანალიზებელი პრობლემური საკითხების იდენტიფიცირებას, კვლევის ძირითადი მიმართულებების დასახვასა და სამუშაოგეგმისშედგენას.
- მაგისტრანტი წერს გადაწყვეტილების ანალიზს კლინიკის ხელმძღვანელის მიერ წინასწარ განსაზღვრული სტრუქტურისა და სისტემის დაცვით.
- მოიძიებს მსგავსი შინაარსის დავებზე უცხოურ სასამართლო გადაწყვეტილებებს და თარგმნის მათ საჭირო ფრაგმენტებს, საჭიროების შემთხვევაში - სრულად.
- სწავლობს ქართულ და უცხოურ გადაწყვეტილებებს ურთიერთკავშირში დოქტრინის, კანონმდებლობისა და პრაქტიკის გაანალიზების გზით, ადგენს უცხოური და ქართული გადაწყვეტილებების ერთგვაროვნების საკითხს ან მიუთითებს მათ არაერთგვაროვნებაზე.
- ნორმის გამოყენების პრაქტიკის ანალიზის გზით აფასებს სამართალშეფარდების ეფექტურობას, დოქტრინისა და პრაქტიკის თავსებადობას.
- კვლევის შუალედურ შედეგებს წარუდგენს კლინიკის ხელმძღვანელს და ითვალისწინებს რეკომენდაციებს დამატებითი კვლევის საჭიროების შესახებ.
- ახდენს კვლევის შედეგების შეჯამებას, შეიმუშავებს სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესების ან საკანონმდებლო სრულყოფის რეკომენდაციებს, ნორმათა განმარტებებს პრაქტიკისა და დოქტრინის შედარებითი პერსპექტივიდან.
- კვლევის შედეგებს აყალიბებს და აძლევს მას სისტემურ, დოკუმენტალურ სახეს.
- კლინიკის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია გაიცეს რეკომენდაცია გადაწყვეტილების მაღალი ხარისხით შესრულებული ანალიზის ელექტრონულ გამოქვეყნებაზე.

**კურსის მიზანია მაგისტრანტისათვის შემდეგი უნარების გამომუშავება:**

- სამართლებრივი პრობლემის გადასაწყვეტად სამართლის ყველა შესაბამისი წყაროს მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი;
- სასამართლო გადაწყვეტილებების მიღმა, სამართლებრივი პრინციპების, საზოგადოებრივი ინტერესებისა და ღირებულებების იდენტიფიცირების უნარი;
- სამართლებრივი საკითხების ანალიზისას განსხვავებული პოზიციის დასაბუთების უნარი;
- კომპლექსური სამართლებრივი პრობლემის ამსახველი გადაწყვეტილების განზოგადებულ წესად გარდაქმნის უნარი;
- სასამართლო გადაწყვეტილების კრიტიკული ანალიზის გზით სამართლის ცოდნის ეფექტურად გამოყენების, დოქტრინისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირში ანალიზის უნარი;

- სამართლებრივი პრობლემების მრავალმხრივი პერსპექტივიდან ხედვისა და მათი კრიტიკული ანალიზის უნარი;
- სასამართლო გადაწყვეტილების სისტემური შედგენის უნარი;
- სამართლის განმარტებისა და შეფარდების პროცესში საზოგადოებრივი ინტერესებისა და სოციალურ-დემოკრატიული ღირებულებების, გათვალისწინების უნარი;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- ეროვნული და უცხოური სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნებისა თუ განსხვავებულობის, არაერთგვაროვნების შეფასების უნარი;
- იურისტთა ჯგუფში შედეგიანი გუნდური მუშაობის უნარი;
- შენიშვნების ძიებისა და უკუკავშირის გათვალისწინების, ეფექტურად გამოყენებისუნარი
- სამართლებრივად მნიშვნელოვანი საკითხების იდენტიფიცირებისა და დასაბუთებულის სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღების უნარი
- უცხოენოვანი გადაწყვეტილების კონტექსტურად თარგმნისა და თემატურად ქართულ გადაწყვეტილებასთან შეკავშირების უნარი
- კომპლექსური პრობლემის გადასაწყვეტად კვლევის წარმართვისა და პრობლემის გადასაწყვეტად ალტერნატიული სტრატეგიების ანალიზისა და გენერირების უნარი
- კომპლექსური იურიდიული ფაქტების ანალიზის, შეჯამებისა და დასკვნის გაკეთების უნარი

**კურსის შედეგი**

კურსის დასრულების შემდგომ მაგისტრანტი აღჭურვილი იქნება დოქტრინისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირში კვლევისა და ანალიზის უნარით, რაც მას დაეხმარება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას კვლევაში მოახდინოს სასამართლო პრაქტიკის ინტეგრირება და მისი კვლევის მიზნებისათვის გამოყენება.

ამასთან, პრაქტიკისანალიზისა და მეცნიერული კვლევის კომბინირება მაგისტრანტს მნიშვნელოვნად დაეხმარება პროფესიაში შესვლაში და მისცემს მიღებული დოქტრინალური, მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას.

**დასწრების განრიგი**

სტუდენტის შუალედური კვლევის შედეგების პრეზენტაცი ახორციელდება სამ კვირაში ერთხელ 6 საათის განმავლობაში. ყოველ კვირას სტუდენტი კლინიკის ხელმძღვანელს უგზავნის მის სამუშაო გეგმასა და სტრუქტურას, ასევე იმ მოძიებულ მასალებს,

რომელზედაც სტუდენტს უწევს კვლევა შეხვედრებს შორის არსებული პერიოდის განმავლობაში, რათა კლინიკის სამეცნიერო ხელმძღვანელმა შეძლოს თვალყური ადევნოს კვლევითი პროცესის უწყვეტობას.

**შეფასების სისტემა და მისი კომპონენტები**

**(ქულობრივი განაწილება)**

- მაგისტრანტს მოეთხოვება სამი სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზის დოკუმენტალური შესრულება და თითეულ გადაწყვეტილებაზე განხორციელებული კვლევის შედეგების სამი პრეზენტაციით წარმოდგენა.
- თითოეული გადაწყვეტილების შინაარსობრივი კომპონენტი ფასდება 20 ქულით, ხოლო თითოეულ გადაწყვეტილებაზე შესრულებული პრეზენტაციის უნარები შეფასდება 10 ქულით. აღნიშნული კომპონენტის შეფასება ხორციელდება კლინიკის ხელმძღვანელთან შეხვედრებზე წარმოდგენილი კვლევითი ნაშრომისა და პრეზენტაციათა ანალიზის საფუძველზე.

- **სამუშაო შეხვედრები (ხანგრძლივობა - 6 საათი) (**კვირის **დღე ხუთშაბათი)**

პირველი შეხვედრა - 1 ოქტემბერი - გაცნობითი და საორიენტაციო შეხვედრა, კლინიკაში მუშაობისა და კვლევის შედეგების პრეზენტაციის წესისა და პერიოდულობის განმარტება, გადაწყვეტილების ანალიზისა და განზოგადების მეთოდის დემონსტრაცია.

შემდეგი შეხვედრები:

22 ოქტომბერი
13 ნოემბერი
3 დეკემბერი
24 დეკემბერი
14 იანვარი

- სამ კვირაში ერთხელ დასწრება 6-საათიან ჯგუფურ შეხვედრებზე კვლევის შუალე-დური და დასკვნითი შედეგების წარმოსაჩენად ფასდება 10 ქულით.

**გადაწყვეტილების ანალიზის შინაარსობრივი მოთხოვნები**

გადაწყვეტილების ანალიზი უნდა განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული სტრუქტურისა და სისტემის დაცვით. მაგისტრანტს მოეთხოვება სასამართლო გადაწყვეტილებაში ასახული სამართალშეფარდების ეფექტურობის შეფასება, დოქტრინისა და პრაქტიკის თავსებადობის განსაზღვრა, საკვლევ თემაზე ეროვნული

სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნებისა და განსხვავებულობის ანალიზი და ქართული სასამართლო პრაქტიკის განზოგადება მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით; უცხოენოვანი გადაწყვეტილების კონტექსტურად თარგმნა და თემატურად ქართულ გადაწყვეტილებასთან შეკავშირება, ეროვნული და უცხოური სასამართლო პრაქტიკის ერთგვაროვნებისა თუ განსხვავებულობის ანალიზი. კომლექსური ქართულენოვანი და უცხოენოვანი გადაწყვეტილებების კვლევის საფუძველზე პრობლემის ალტერნატიული გადაწყვეტილების სტრატეგიების გენერირება. ეროვნული და უცხოური სასამართლო პრაქტიკის კვლევის შედეგების განზოგადებულ წესად გარდაქმნა.

## კლინიკაში სტუდენტთა მიღების წესი

კლინიკისათვის სტუდენტები შეირჩევიან ერთი სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზის საფუძველზე, რომელსაც ისინი წარმოადგენენ წერილობით კლინიკის ხელმძღვანელის მიერ დადგენილი სტრუქტურისა და წესის შესაბამისად (იხ. დანართი).

# სანივთო სამართალში სასამართლო პრაქტიკის კვლევის, დოქტრინალური ანალიზისა და განზოგადების კლინიკის ფარგლებში გამოსაყენებელი გადაწყვეტილების ანალიზის ერთგვაროვანი სისტემა[1]

## სათაური

სათაურში უნდა იქნეს ასახული პრობლემის არსი მთავრული შრიფტით. აღნიშნულის შემდეგ მიეთითება საქმის ნომერი. საქმის ნუმერაციის შემდეგ სქოლიოში მითითებულ უნდა იქნეს გადაწყვეტულების ყველა რეკვიზიტი სრულად.

მაგ. **საკუთრება. განსაკუთრებული/ექსკლუზიური ხასიათი. ძონების გამოსახულება. ნებართვის არძონა. მესაკუთრის სარგებლობის უფლების ხელყოფა.**

**საქმე №ას-220-35168***

*ზაალიშვილი გაბუნიას წინააღმდეგ.*

## საკვანძო მუხლები

**აღნიშნულ ნაწილში დახრილი შრიფტით მიეთითება მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმების ფორმულირება, რომელთაც უმთავრესად ემყარება სასამართლო გადაწყვეტილება. მაგ.**

*გათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს (სსკ-ის 54-ე მუხლი)*

## ფაქტები

[1] წითელი შრიფტით მითითებული ნაწილები უნდა აისახოს გადაწყვეტილების ანალიზში. შავი შრიფტით მითითებული ტექსტი მხოლოდ გადაწყვეტილების ანალიზის მეთოდის აღწერას ითვალისწინებს.

* საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზ

უმთავრესი ფაქტობრივი გარემოებები (საქმის ფაქტობრივი საფუძველი) – ამ კომპონენტის ფარგლებში ხორციელდება საქმის უმნიშვნელოვანესი ფაქტობრივი გარემოებების მოკლე ანოტაციის შედგენა, რომელიც სამართლებრივი პრობლემის არსის განსაზღვრის საფუძველია. სასურველია განხორციელდეს ფაქტობრივი გარემოებების სისტემატიზაცია საკითხების, მხარეების, თარიღების სქემის და სხვა მნიშვნელოვანი კრიტერიუმების მიხედვით, რაც გაადვილებს მათი აღქმის შესაძლებლობას.

ფაქტების ნაწილში გამოიყოფა გამუქებული შრიფტით (bold-ით) მოსარჩელის და მოპასუხის არგუმენტაცია.

მაგალითად,

**მოსარჩელის არგუმენტაციით,** სახელშეკრულებო ვალდებულების განხორციელების პროცესში დაირღვა აუცილებელი წინდახედულების სტანდარტი...

**მოპასუხის არგუმენტაციით,** ვალდებულების შესრულება მოითხოვს დამაბრკოლებელი გარემოების თავიდან აცილებისათვის ყველა აუცილებელი ზომების მიღების ვალდებულებას, რომელიც მოვალის მხრიდან კეთილსინდისიერად განხორციელდა...

## გადაწყვეტილება

სასამართლოს სამართლებრივი პოზიცია საკითხთან დაკავშირებით. სასურველია, თუკი უზენაესმა სასამართლომ დაადგინა პირველი ინსტანციის სასამართლოსაგან განსხვავებული პოზიცია, ეს აისახოს ამ ნაწილში. შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვანი სამართლებრივი პოზიციის ციტირება. ამავე კომპონენტში შესაძლებელია გამოიყოს **სასამართლოს განსხვავებული აზრი** გამუქებული შრიფტით.

## ანალიზი

ანალიზის კომპონენტი იწყება მოკლე შესავლით, სადაც ხორციელდება უმთავრესი სამართლებრივი პრობლემის, დილემის იდენტიფიცირება და განზოგადებული სახით ფორმულირება.

აქვე ავტორი მიმოიხილავს სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზის სისტემას, რომაული ნუმერაციით.

მაგალითად,

ამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებით საკასაციო სასამართლოს პირველად მოუწია მსჯელობა აქვს თუ არა მესაკუთრეს უფლება დაუპირისპირდეს მისი საკუთრების

გამოსახულების მესამე პირის მიერ ექსპლოატაციას. გადაწყვეტილება საიტერესოა მისი მიღების ისტორიული კონტექსტის გამო (I), და მართლაც, საკითხის საკუთრების პრიზმაში განხილვა მესაკუთრის ამ უფლებამოსილებას უდაოს ხდის (II), მაგრამ ეს გადაწყვეტოლება საავტორო უფლებების სპეციალისტების თითქმის ერთსულოვანი კრიტიკის საგანი გახდა(III).

I. კონტექსტი

II. მესაკუთრის მონოპოლია მისი ქონების გამოსახულების ექსპლოატაციაზე

III. მესაკუთრის მონოპოლია და საავტორო უფლება

ანალიზის თავების სახელწოდების განსაზღვრაში ავტორი თავისუფალია. მნიშვნელოვანია, რომ ანალიზი ფარგლებში მოხდეს პრობლემის წარმოშობის როგორც საკანონმდებლო რეგლამენტაციით, ასევე ფაქტობრივი გარემოებებით განპირობებული მიზეზების დადგენა. მაგალითად, ხარვეზული საკანონმდებლო მოწესრიგება ან შეცვლილი ეკონომიკური, სოციალური და ა.შ. გარემოებები, რომელიც განაპირობებს ნორმების მისადაგების აუცილებლობას შეცვლილ გარემო პირობებთან.

აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილია განსახილველი სასამართლო გადაწყვეტილების მსგავსი სასამართლო პრაქტიკის ანალიზი და შემოთავაზებულია პრობლემის ალტერნატიული გადაწყვეტილებების რეკომენდაციები

ანალიზის კომპონენტი გულისხმობს:

* კონკრეტული გადაწყვეტილების ფარგლებში განსახილველი პრობლემის მსგავსი როგორც ეროვნული, ისე სასურველია უცხოური გადაწყვეტილებების მოძიებას, მათი ერთგვაროვნებისა და განსხვავებულობის დადგენას და ურთიერთკავშირში გააზრება-განხილვას.

* მოძიებული გადაწყვეტილებების დოქტრინულ კონტექსტში განხილვას, დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკაში განვითარებული შეხედულებების შესაბამისობის, თავსებადობის ან წინააღმდეგობების გამოკვეთას.

ანალიზის ნაწილს აუცილებლად უნდა ჰქონდეს შიდა სისტემატიაცია მისი მოცულობითი შინაარსიდან და მრავალმხრივი პერსპექტივების ანალიზიდან გამომდინარე. აუცილებელია ანალიზის სისტემურ კომპონენტებს შორის ლოგიკური და თემატური კავშირის უზრუნველყოფა.

ანალიზის კომპონენტში წარმოდგენილია სასამართლო გადაწყვეტილების განხილვის საფუძველზე შეჯამებული დასკვნების მეცნიერული ინტერპრეტაცია და განზოგადება. მნიშვნელოვანია სასამართლო გადაწყვეტილებით მიღწეული შედეგების შეჯამებული

ფორმით წარმოდგენა დოქტრინის განვითარების, სამართლებრივი კონტრუქციების ახლებური ხედვის დამკვიდრებისა და განსხვავებული კონცეფტუალური მიდგომების დანერგვის კუთხით.